www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 18 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3388 (195) | ფასი 50 თეთრი

კრიტიკა და შეფასებები პრემიერის პოსტიდან



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და ბეჭდური მედიისა და საინფორმაციო რადიოსადგურების მთავარ რედაქტორებს შორის შეხვედრა, გუშინ, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“, სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა. მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე, პრემიერმა საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებ საუბარს დიდი დრო დაუთმო.

ბიძინა ივანიშვილმა მედიას საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჩატარებული შიდა კვლევების შედეგები გააცნო. როგორც პრემიერი ამბობს, ამ კვლევებზე დაყრდნობით, მისთვის საზოგადოების განწყობა ცნობილია.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

არჩევნები პირველ ტურში უნდა დასრულდეს

პრემიერის ამ განცხადებას ამომრჩეველზე ზეწოლად მიიჩნევს არასამთავრობო სექტორი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გაზეთებისა და რადიოების მთავარ რედაქტორებს შეხვდა. ამჯერად, შეხვედრა, პრემიერის ბიზნესცენტის ნაცვლად, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ გაიმართა და სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

პრემიერმა რამდენიმე თემაზე გაამახვილა ყურადღება.

ბიძინა ივანიშვილმა მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ისაუბრა და საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის გამართვის შემთხვევაში გიორგი მარგველაშვილს კანდიდატურის მოხსნა ურჩია.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„მოწმეების „ჩადების„ პრაქტიკა“

„ციხის ბუნტის“ საქმეზე განაჩენი, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში დადგება

თბილისის საქალაქო სასამართლომ ე.წ. ციხის ბუნტის შესახებ ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაასრულა.

მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის განცხადებით, აღნიშნულ საქმეზე განაჩენი, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში დადგება.

გუშინდელ პროცესზე კი მხარეებმა დასკვნითი სიტყვები წარმოთქვეს. აღნიშნულ საქმეში, ბაჩო ახალაიასთან ერთად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და არაადამიანური მოპყრობისთვის ბრალდებულები არიან რევაზ ჭარბაძე, მეგის ქარდავა და დავით ჭაკუა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის განცხადებით, სასამართლომ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ბაჩო ახალაიას განმარტებით, სასამართლომ არ უნდა დაუშვას პრეცედენტი, რომ ათობით და ასობით კრიმინალმა პოლიციელის წინააღმდეგ პირი შეკრას. ყოფილ შს და თავდაცვის მინისტრს იმედი აქვს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ობიექტური იქნება.

„დიდ ხანს ვიფიქრე, გამეცა თუ არა პასუხი პროკურატურისთვის. დამკვიდრდა ახალი პრაქტიკა, მოწმეების „ჩადების“ პრაქტიკა. ადრე თუ იარაღის ჩადება ხდებოდა, ახლა ხდება მოწმეების „ჩადება“. 6-7 წლის წინ მე ლეგიტიმურად ვიმყოფებოდი იმ ტერიტორიაზე, რაზეც აღნიშნულ საქმეშია საუბარი და ლეგიტიმურ ღონისძიებებს ვახორციელებდი.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ამერიკამ დეფოლტი თავიდან აიცილა

კონგრესმენებმა ღამე დატოვეს კაპიტოლიუმი

ივა შილაკაძე

გუშინ, ღამით, უკანასკნელ ვადამდე, დაახლოებით, ერთი დღით ადრე ამერიკის კონგრესმა მიღწეული შეთანხმების კენჭისყრით დამტკიცება შეძლო და თავიდან აიცილა «ტექნიკური დეფოლტი“, რომელიც აშშ-ს დროით 17 ოქტომბრის შუაღამისას აუცილებლად დადგებოდა. კონგრესის მიერ მიღებულ დოკუმენტს აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც მაშინვე მოაწერა ხელი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

გორგოძე ფრანგულ გრანდს - „ტულონს„ შეუთანხმდა

გიგა გურასაშვილი

გავლენიანი ფრანგული L'Equipe-ის ცნობით, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ 29 წლის მოთამაშე მამუკა გორგოძე მომავალი სეზონიდან ფრანგულ გრანდში - „ტულონში“ გააგრძელებს კარიერას.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

მომავალი სეზონიდან მამუკა გორგოძე «ტულონის» მაისურს მოირგებს

2013 წლის პრემია „დურუჯის„ ლაურეატები 20 ოქტომბერს გამოვლინდებიან

თეატრალური პრემია დურუჯის“ კულმინაცია მოახლოვდა - 2013 წლის ლაურეატების ვინაობა ყვარელში, მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმში გახდება ცნობილი. დაჯილდოების საზეიმო ცერემონია კვირას, 20 ოქტომბერს, 15:00 საათზე გაიმართება.

საქველმოქმედო ფონდ „ცისკრის“ მიერ დაწესებული პირველი დამოუკიდებელი თეატრალური პრემია დურუჯი“ უკვე მეხუთედ გაიცემა. წელს საბუთების წარდგენის ვადა 31 მარტს ამოიწურა. სულ შემოტანილი იქნა 34 განაცხადი. 5 წევრისგან შემდგარი ჟიური ნომინირებულ სპექტაკლებს 2 თვის განმავლობაში აფასებდა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

კრიტიკა და შეფასებები პრემიერის პოსტიდან

პირველი გვერდიდან

„ბალანსი ასეთია: მოფიქრალები - 20 პროცენტამდეა, 10 პროცენტი - ბურჯანაძეს უჭერს მხარს, 12-დან 15-მდე - ბაქრაძეს, 1-2 პროცენტი - ნათელაშვილს, 1-2 პროცენტი - თარგამაძეს. დანარჩენს ყველას ერთად - 1-2 პროცენტი. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ იცის, რომ ელექტორატს ვერ გაზრდის და მხარდამჭერთა შენარჩუნებაზე ზრუნავს. ჩვენ მათზე მოწოდებებით ვმუშაობთ: უკან ნუ იყურებიან, წინ იყურონ. ვმუშაობთ, რათა „ნაციონალურ მოძრაობას“ გაუგებარი მხარდაჭერა შეუმცირდეს. მისი მხარდამჭერები არა იდეოლოგიას, არამედ სხვა რაღაცებს უჭერენ მხარს. მოფიქრალების უმრავლესობა პოტენციურად ჩვენი მხარდამჭერია,“ - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის აზრით, რაც მეტ ხმას მიიღებს კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, მით უფრო მკაფიოდ გამოჩნდება ის, რომ ხალხს ივანიშვილის ესმის. როგორც ივანიშვილი ამბობს, იდეალური იქნება, თუ მარგველაშვილი ხმათა 65 პროცენტს დააგროვებს. **„შეიძლება, 51-52 პროცენტი მივიღოთ. ეს იმედგაცრუებას გამოიწვევს და აქ ობიექტური ვარ. როგორც გითხარით, საკუთარი თავისთვის ავად გახდომის უფლება არ მიმიცია, თავი გავწირე, დღე და ღამე ვმუშაობდი. მაგრამ თუ ამას საზოგადოება არჩევნებზე სხვანაირად შეაფასებს, ამით დიდი ტვირთი მომეხსნება და ჩემს სამსახურს, რა თქმა უნდა, თავს არავის მოვახვევ,“** - ამბობს პრემიერი.

პრემიერ-მინისტრი გიორგი მარგველაშვილს ურჩევს, თუ საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე ტურის ჩატარება გახდება საჭირო, პრეზიდენტობისთვის ბრძოლა აღარ განაგრძოს. როგორც ივანიშვილი ამბობს, საზოგადოების მცირე ნაწილი ხელისუფლებიდან მის წასვლაზე ოცნებობს და მიშას ნატრობს. **ჩვენ შიდა კვლევებს ვატარებთ და ბაქრაძე ნინო ბურჯანაძეს ოდნავ უსწრებს. თუ მეორე ტური იქნება, აგერ ბაქრაძე მოვა, მიშას პრემიერობაზე ჰქონდა დიდი აქცენტი, პრემიერად მიშას წამოაყენებს და ღმერთმა მოგახმაროთ, ძველი ტაშ-ფანდურა გექნებათ ისევ,“** - ამბობს ივანიშვილი, თუმცა დასძენს, რომ ამ სცენარის ალბათობა მინიმალურია. ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ მეორე ტური პრაქტიკულად შეუძლებელია და გიორგი მარგველაშვილი პირველივე ტურში გაიმარჯვებს.

ბიძინა ივანიშვილი გიორგი მარგველაშვილის მთავარი კონკურენტების დავით ბაქრაძისა და ნინო ბურჯანაძის გაკრიტიკებისგან თავს იკავებს და აღნიშნავს, რომ საჭიროა, არჩევნები დაბალანსებულად წარიმართოს. პრემიერ-მინისტრის მონაცემებით, დავით ბაქრაძე გიორგი მარგველაშვილს მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში უსწრებს.

პრემიერმა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი თარგამაძის და „ლეიბორისტების“ კანდიდატ შალვა ნათელაშვილის საქმიანობა კი უარყოფითად შეაფასა. ივანიშვილმა თარგამაძეს მოღალატის ეტალონი უწოდა და აღნიშნა, რომ მას მუდამ ქვეყნის საწინააღმდეგო პოზიცია ეკავა. შალვა ნათელაშვილი კი, პრემიერის შეფასებით, 20 წელია, ხალხს ატყუებს.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავას ივანიშვილი არასერიოზულ კაცად აფასებს. როგორც ივანიშვილი ამბობს, კუკავა მუდამ იქ მიდის, სადაც ფულს უხდიან. პრემიერი კუკავას ერთ-ერთ განცხადებასაც იხსენებს. **„კუკავა ჩემზე ამბობს, რომ ივანიშვილი პოლიტიკიდან იმიტომ მიდის, რომ ის ფული, რომელიც წაართვეს, ამოიღოო, 400 მილიონზე საუბრობს. ჯერ თუ დავკარგე, რისთვის დავკარგე? პოლიტიკაში რომ შემოვედი, იმიტომ დავკარგე. არ მოვიდოდი პოლიტიკაში და არ დავკარგავდი. ასეთი ნათქვამი, რა თქმა უნდა, გულს მტკენს,“** - თქვა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას საქმიანობის შესახებაც საუბრობს. როგორც ივანიშვილი ამბობს, ბოკერიას მიერ ლობისტებზე 16 მილიონი ლარის დახარჯვის საკითხს პროკურატურა სწავლობს.

„გიგა ბოკერიას სამსახური სააკაშვილის პიარკამპანიაზე იყო მორგებული, ჩვენს ფულს ჩვენი უმეცრობით იყენებდნენ. მთელი ევროპა სიცრუეში ჰყავდა. ქართველებმა გავაცნობიერეთ ეს და გავიგეთ. ასე ატყუებდა ამერიკასაც. ზოგი მეგობარი, რომელიც შემორჩა ევროპასა და ამერიკაში, სააკაშვილს საეჭვოდ უჭერს მხარს,“ - თქვა ივანიშვილმა.

სააკაშვილის მთავრობიდან ბიძინა ივანიშვილმა, ისევე როგორც ექსპერტებთან შეხვედრაზე, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი გამოარჩია. **„წინა ხელისუფლების დროს პოზიტივიც ბევრი იყო. ის, რომ სასამართლოში კორუფცია არ იყო და ფულს ვერ იღებდნენ, ზემოდან თუ არ უკარნახებდნენ; პოლიცია და პროკურატურაც ასეთი იყო, ამაში ადეიშვილს ლომის წილი ჰქონდა. საუბედუროდ, ეს ნიჭი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული. მე ვთქვი, რომ იმ ჯგუფიდან ის იყო ნიჭიერი და კიდევ ვიმეორებ, მე ამის არ მერიდება. ადეიშვილი ჩემს მთავრობაში რომ ყოფილიყო, საუკეთესო მინისტრი იქნებოდა. მე იმას კი არ ვამბობ, რომ ადეიშვილი არ დაისჯება, ყველამ უნდა აგოს პასუხი, ვინც დააშავა, მაგრამ მას ასეთი პრეზიდენტი რომ არ ჰყოლოდა, დარწმუნებული ვარ, პოზიტივში გადავიდოდა,“** - მიიჩნევს ბიძინა ივანიშვილი.

რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილის საქმიანობას, როგორც პრემიერი ამბობს, არ სურს, თავისი პრეზიდენტი ციხეში მოხვდეს. მაგრამ, ივანიშვილის თქმით, საზოგადოებას უნდა მიეცეს საშუალება, დარწმუნდეს, რომ პასუხი მოეთხოვება ყველას, ვინც დააშავა. **„დანარჩენი გამოძიების საქმეა,“** - დასძინა მან.

მოქმედი მთავრობიდან კი ივანიშვილმა თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია გააკრიტიკა. მედიის წარმომადგენლებმა პრემიერს მიაწოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ანგარიშის მიხედვით, ერთი წლის განმავლობაში საკვებით ჯამში 700 ჯარისკაცი მოიწამლა. მოგვიანებით პრემიერის პრესსამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ედო, რასაც ბიძინა ივანიშვილის უკმაყოფილება მოჰყვა. **„ჯარისკაცების მოწამვლის პირველი შემთხვევის დროს ალასანიამ თვითონ დამირეკა და განმიმარტა, რომ 7-8 კაცი იყო შეუძლოდ. ახლა იგივე განმეორდა, მაგრამ ალასანიას აღარ დაურეკავს. არ ვიცოდი, თუ საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ედო. რა ხდება, სააკაშვილის მთავრობაა? ვინ დაადო საიდუმლო? ჯარისკაცის მოწამვლა რა სახელმწიფო საიდუმლოებაა? ეს კიდევ უფრო აღრმავებს ეჭვებს და, რა თქმა უნდა, მე ამ საკითხით დავინტერესდები. მთავრობის სხდომაზე ვითარებაში აუცილებლად გავერკვევი,“** - თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი თავის მომავალ საქმიანობას კიდევ ერთხელ შეეხო, მან ასევე უპასუხა კითხვას, რომელიც მისი მოქალაქეობის საკითხს ეხებოდა. **„მინდა, რომ საქართველოს მოქალაქეობა არა სააკაშვილის გადმოგდებულით აღვიდგინო, არამედ კანონიერი, სასამართლოს გზით. ამ ბავშვებმა ყველაფერი ყირაზე დააყენეს. ევროპელებს ხშირად ვეკითხები, როგორ მოგწონთ, რომ შეიძლება, ევროპელი საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყოს, მაგრამ თუ საქართველოს მოქალაქე გახდება, პრემიერ-მინისტრის პოსტი უნდა დატოვოს. ასეთი კონსტიტუცია დაგვიტოვეს ბიჭებმა. აღნიშნულის შესახებ კონსტიტუციური ცვლილება იგეგმებოდა და ამას არც ოპოზიცია ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მაინც მე მეწერებოდა, მიიჩნეოდა, რომ კონსტიტუციაში ცვლილება ჩემ გამო შედიოდა,“** - თქვა ივანიშვილმა. პრემიერის ვარაუდით, მისი მოქალაქეობის შესახებ სასამართლო პროცესები პრემიერ-მინისტრობიდან წასვლის შემდეგ განახლდება.

ყველაზე დიდი დრო პრემიერ-მინისტრმა სამოქალაქო საზოგადოებაში თავისი გადასვლის საკითხს დაუთმო. **ვიზიტების დროს ყოველთვის რამდენიმე მინისტრი მაცილებს და სამი საათი იქით, სამი საათი აქეთ ხელჩართული ომი გვაქვს. ბოლოს ფანჯიკიძე, პეტრიაშვილი და კვირიკაშვილი იყვნენ. მათ წასვლის შესახებ ჩემს გადაწყვეტილებას ვერ ვუსაბუთებ. ისევ გიორგი მარგველაშვილი დამეხმარა, გუნდში პელე ხარო და არავის უნდა, პელე გუნდიდან წავიდესო. მესმის მთავრობის წევრების, რომ არ უნდათ, ასეთი კაცი გამოაკლდეთ. თუ სტრატეგიულად რამე იდეა გამიჩნდება, შემიძლია, ეს საჯაროდ განვაცხადო, შემიძლია, ისე დავურეკო, თუ ამის სურვილი გაუჩნდებათ. თუ დარეკვის საშუალებას არ მომცემენ, ამის თავისუფლებაც აქვთ. არავითარი ვალდებულება არ აქვთ, რომ მე დავურეკო და რამე ავუხსნა. შემიძლია, საჯაროდ გავაცნო. თუ არ მოისმენენ, შემიძლია, საჯაროდ გავაკრიტიკო,“** - თქვა ივანიშვილმა.

ივანიშვილი ამბობს, რომ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრად ყოფნას 20 წელიწადს აპირებს. მას მიაჩნია, რომ ამით დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას ხელს შეუწყობს, თუმცა ივანიშვილი არ აზუსტებს, მისი საქმიანობა კონკრეტულად რა ფორმით წარიმართება. ეს 20-წლიანი მშენებლობის პროცესი ძალიან საინტერესო და «სახალისო“ სანახავი იქნება. მისი ვარაუდით, ამ 20-წლიან ციკლში პირველი შედეგები მესამე წლიდან გამოჩნდება. ამ მიზნის მისაღწევად ბიძინა ივანიშვილი არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას არ გამორიცხავს. იგი ფიქრობს, რომ მომავალშიც მედიისთვის საინტერესო ფიგურად დარჩება. პრემიერმა ისიც აღნიშნა, რომ ბიზნესში საქმიანობის გაგრძელებას აღარ აპირებს.

ივანიშვილი ირწმუნება, რომ მისი სამოქალაქო საზოგადოებაში გადანაცვლების მიუხედავად, საქართველოს მთავრობის საგარეო-პოლიტიკური დასავლური კურსი არ შეიცვლება, პარალელურად კი რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაა საჭირო. **„ჩვენ ვერაფრით და ვერაფრის ფასად შევცვლით ევროპისკენ სწრაფვას. ევროკავშირი და ნატო - ეს არის ჩვენი სტრატეგია, ეს არის ჩვენი ძირითადი მიმართულება. ამის საწინააღმდეგოდ და ამის საფასურად ჩვენ არაფერს გავაკეთებთ,“** - დასძინა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერმა შეხვედრაზე ისიც აღნიშნა, რომ ვილნიუსში დაგეგმილ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეგით მესამე სამიტზე პრეზიდენტთან ერთად გამგზავრებას იმ შემთხვევაშიც არ აპირებს, თუ გიორგი მარგველაშვილი პირველივე ტურში გაიმარჯვებს.

ბიძინა ივანიშვილი საოკუპაციო ხაზთან მავთულხლართების გავლების განახლებას სწორედ ვილნიუსის სამიტს უკავშირდებს. **„საოკუპაციო ზოლთან რუსეთის გააქტიურება არჩევნების პროცესში არ არის სასარგებლო, მაგრამ ჩემთვის არჩევნები არ არის განმსაზღვრელი. საერთოდ, არ არის სასარგებლო, რაც ხდება და როგორც ხდება. ეს შეურაცხმყოფელი და აღმაშფოთებელია. საუბედუროდ, ჩვენ არ გვაქვს დიდი არჩევანის და თამაშის საშუალება და ვაკეთებთ იმას, რაც შეგვიძლია. ის, რომ დაბალი არჩევანი გვაქვს და ძალიან დაბალეფექტურია ხელისუფლების ქმედება, სწორედ წინა მთავრობის დანატოვარია. მათ მოახერხეს და ისეთ ჩიხში შეიყვანეს ურთიერთობები, რომ ხელისუფლება პრაქტიკულად არაეფექტურია. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ კონკრეტულ მოსახლეობას, რომელზეც პირდაპირ ხდება ძალადობა, დავეხმაროთ. მე წინა შეხვედრაზე შენიშვნა მითხრეს, რატომ არ ჩავედი დვანში. რა, მე ჩავიდე და მათთან ერთად ცრემლი ვღვარო თუ რა ვქნა? მთავრობა მათ კონკრეტული ქმედებებით ეხმარება. რუსეთი აგრძელებს იმას, რისი საშუალებაც 2008 წელს მიეცა,“** - ამბობს ივანიშვილი.

ივანიშვილს კითხვა დაუსვეს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ მიღებული დოკუმენტის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არიან და მათ შორის - ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, სააკაშვილს ზოგიერთი მეგობარი, რომელიც ევროპასა და ამერიკაში შემორჩა, საეჭვოდ უჭერს მხარს. ბიძინა ივანიშვილის ინფორმაციით, მსგავსი მხარდამჭერები ერთეულებიღა დარჩნენ. **„როცა პოლიტიკიდან გავალ, იმ ერთეულებზეც პრინციპულად ვიმუშავებ,“** - თქვა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ ევროპარლამენტარებზე გავლენა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მოახდინეს.

„სააკაშვილი და მისი გუნდი სიცრუის ტირაჟირებას ახერხებდა და ახლაც ახერხებს,“ - აღნიშნავს პრემიერი.

„ტაბულას“ ჟურნალისტმა, გამოცემა „ლე მონდზე“ დაყრდნობით, პრემიერს ჰკითხა, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დამფინანსებლის კეზერაშვილის და ასევე ვანო მერაბიშვილის დაკავებით ხელისუფლება ოპოზიციის განადგურებას ხომ არ ცდილობდა. **„იუპიტერ, თქვენ ცხარობთ, ე.ი. ცდებით,“** - ამ ფრაზით ჟურნალისტმა პრემიერ-მინისტრს მას შემდეგ მიმართა, რაც ივანიშვილმა მოსთხოვა, ეთქვა, საიდან აფინანსებდა კეზერაშვილი „ნაციონალურ მოძრაობას“ და თავად რა პოზიცია ჰქონდა ოპოზიციური პარტიის მიმართ. როგორც ივანიშვილი ამბობს, იგი ოპოზიციის განადგურებას არ ცდილობს.

ივანიშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტები იმ დამოკიდებულების გამო გააკრიტიკა, რომელიც მათ ხელისუფლების მიმართ გააჩნიათ.

„მგონი, მაესტროს ჟურნალისტები, მთელი შემადგენლობა, ცოტა დაიბნა, უკაცრავად და, დაგოიმდნენ. ჰგონიათ, რომ კარგია თუ ცუდია, აუცილებლად უნდა ვაგინოთ ხელისუფლებას; კარგია თუ ცუდია, აუცილებლად უნდა ლანძღო. მგონი, ცოტა დაიბნენ და გადააჭარბეს თავის უფლებებს. ეს მათ არ ზღუდავთ, პირიქით, მე მათ ვუმატებ აგრესიას - მობრძანდნენ და გვაკრიტიკონ. როცა მე ასე ვიხსენებ „მაესტროს“ ჟურნალისტებს, რა თქმა უნდა, ეს მათ უზრდის ემოციას - აბა, ვნახოთ, ახლა სად შეეშლება, და ძალიანაც კარგი, ჩამისაფრდნენ, მიმანიშნონ, ოღონდაც არგუმენტირებულად და დასაბუთებულად. მე შვილებს ასე ვზრდი - შვილო, კრიტიკოსი და ოპონენტი უფრო გიყვარდეს, მეტი ანგარიში გაუწიე, ვიდრე ახლობელს, რომელიც სადღეგრძელოებს ამბობს შენზე, რადგან სწორი გზა შეიძლება, ზუსტად კრიტიკიდან დაინახო,“ - თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

არჩევნები პირველ ტურში უნდა დასრულდეს

პირველი გვერდიდან

თუმცა პრემიერი დარწმუნებულია, რომ მეორე ტურის გამართვა საჭირო არ გახდება. ამასთან, ივანიშვილის თქმით, მისთვის შეურაცხმყოფელი იქნება და მის ენთუზიაზმზე იმოქმედებს ისიც, თუ მარგველაშვილი არჩევნებში 60 პროცენტზე ნაკლებ მხარდაჭერას მიიღებს.

პრემიერ-მინისტრის აღნიშნულ განცხადებას არასამთავრობო ორგანიზაციები გამოეხმაურნენ.

„სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი ნინო ლომჯარია საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შესახებ პრემიერ-მინისტრის განცხადებას ამომრჩეველზე ზეწოლად აფასებს.

ლომჯარიას განმარტებით, ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში მინიშნებაა იმაზე, რომ არჩევნები პირველივე ტურში უნდა დასრულდეს.

„როცა პრეზიდენტობის კანდიდატი მეორე ტურში გადადის, ეს იმას ნიშნავს, რომ ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა მას არჩევნებში მხარი დაუჭირა, ამიტომ ვფიქრობ, არ არის სწორი, თუკი წინასწარ იქნება გაცხადებული, რომ ნდობაგამოცხადებული კანდიდატი მეორე ტურში მონაწილეობაზე უარს იტყვის. ეს საარჩევნო პროცესს სერიოზულ პრობლემას შეუქმნის და შემიძლია, გარკვეულწილად ამომრჩეველზე ზეწოლადაც განვიხილო, რადგან ერთგვარი მინიშნებაა, რომ არჩევნები პირველივე ტურში უნდა დასრულდეს,“ - განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ხელმძღვანელი ეკა გიგაური მარგველაშვილისადმი პრემიერ-მინისტრის რჩევას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

„რჩევის მიცემის უფლება აბსოლუტურად ყველას გააჩნია, მაგრამ იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ ლიდერია და კოალიციაზე დიდი გავლენა აქვს, კარგი არ იქნება, თუკი პრეზიდენტობის კანდიდატს ასეთ რჩევას მისცემს. ზოგადად, მოველით, რომ ყველა კანდიდატი დამოუკიდებელი ფიგურაა, რომელიც გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს,“ - განაცხადა ეკა გიგაურმა.

მისივე თქმით, საქართველოს კანონში არ არის გაწერილი, როგორ უნდა წარიმართოს პროცესი იმ შემთხვევაში, თუკი მეორე ტურში გადასული კანდიდატი კენჭისყრაზე უარს იტყვის.

„ყველაზე დიდი პრობლემა ის იქნება, რომ ჩვენს კანონში კონკრეტულად არ არის გაწერილი, რა უნდა მოხდეს, თუ მეორე ტურში გადასული კანდიდატი არჩევნებში მონაწილეობაზე უარს იტყვის. შესაბამისად, ჩვენ ორი არჩევანის საშუალება გვექნება: დარჩეს ის ერთი ადამიანი, რომელიც მეორე ტურში გავა და მაშინ ერთი ხმის მიღების შემთხვევაშიც გამარჯვებული იქნება ან შემდგომი ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატმა მონაწილეობა მიიღოს მეორე ტურში. იმის გამო, რომ კანონში ეს არ არის გაწერილი, ყველაზე ლოგიკური მეორე ვარიანტი იქნება,“ - განაცხადა გიგაურმა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიას თქმით, საარჩევნო კანონმდებლობა საშუალებას იძლევა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ერთი კანდიდატის მონაწილეობის შემთხვევაშიც ჩატარდეს.

„კანონმდებლობის გათვალისწინებით, საპრეზიდენტო არჩევნები შეიძლება, ორტურიანი სისტემით ჩატარდეს. მეორე ტური იმ შემთხვევაში იმართება, თუკი პრეზიდენტობის ვერც ერთი კანდიდატი ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობას ანუ 50 პროცენტს პლუს ერთ ხმას ვერ აგროვებს. ასეთ დროს საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი მეორე ტურში გადადის. არ მახსოვს პრაქტიკა, როცა ასეთ დროს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი მეორე ტურში საკუთარ კანდიდატურას ხსნის, მაგრამ კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნები იმ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს, თუკი არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ორივე კანდიდატი იტყვის. სხვა შემთხვევაში, როცა მეორე ტურში ერთი კანდიდატი დარჩება, კანონმდებლობა მეორე ტურის ჩატარების საშუალებას იძლევა,“ - განუცხადა ჟურნალისტებს თამარ ჟვანიამ.

პრემიერის აღნიშნულ განცხადებას „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილიც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მონანილეობას არ მიიღებს.

„ეს არჩევნები იმით გაგრძელდება, რომ ქართული საზოგადოება 27 ოქტომბერს ხმას მისცემს იმ გზას, რომელიც დაისახა გასულ წელს, ხმას მისცემს ბიძინა ივანიშვილის კოალიციას და მე, როგორც მის საპრეზიდენტო კანდიდატს. პირველ ტურში ეს დასრულდება, მეორე ტური არ იქნება, არსებული სტატისტიკით ეს შეუძლებელია. მაგრამ თუ საოცრება მოხდება და ქართველი ამომრჩეველი საარჩევნო უბნებზე არ მივა, მეორე ტურში მონაწილეობის აზრს ვეღარ ვხედავ,“ - განაცხადა მარგველაშვილმა.

მარგველაშვილი პირველივე ტურში გამარჯვებაში დარწმუნებულია.

„ჩემთვის შეურაცხმყოფელია კითხვის დასმა, უნდა თუ არა საზოგადოებას იმ სისტემის არსებობა, რაც საქართველოში ერთი წლის წინ იყო. თუ ვინმე ამისთვის მზად არის, ხელს არ შევუშლით,“ - აღნიშნა მარგველაშვილმა.

არჩევნების მეორე ტურის შესახებ პრემიერ-მინისტრის განცხადებას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოეხმაურა. სააკაშვილის თქმით, ივანიშვილს საქართველოს კონსტიტუცია არ წაუკითხავს.

„პრემიერ-მინისტრს, მიუხედავად იმისა, რომ პირად ანგარიშზე დიდი თანხა აქვს, ძალიან ცოტა წიგნი აქვს წაკითხული, მათ შორის - არც საქართველოს კონსტიტუცია. ალბათ მაშინ, როდესაც წიგნები უნდა ეკითხა, ფულის შოვნით იყო დაკავებული,“ - განაცხადა სააკაშვილმა.

«ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე კი ფიქრობს, რომ მეორე ტურის შემთხვევაში მას და გიორგი მარგველაშვილს ჯანსაღი კონკურენცია ექნებათ.

იმედი მაქვს, მეორე ტურის შემთხვევაში გიორგი მარგველაშვილი მონაწილეობაზე უარს არ იტყვის და ჯანსაღი კონკურენცია გვექნება. ეს ქვეყნისთვის კარგია და როცა ისეთ სერიოზულ საკითხზე ვსაუბრობთ, როგორიც საპრეზიდენტო არჩევნებია, ვფიქრობ, გაბუტვისა და პირობების დაყენების დრო არ არის. თუ მეორე ტური შედგება, ეს ქართველი ხალხის ნება და არჩევანი იქნება, მე ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ,“ - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

„ხალხის პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატი კობა დავითაშვილი ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილს არჩევნების მეორე ტურის მიმართ „გაბუტული პოზიცია“ არ გამოადგება.

„არჩევნების მეორე ტურის მიმართ გაბუტული პოზიცია ნამდვილად არ წაადგება ბატონ ბიძინას, რადგან ყველა ნაბიჯი, რაც მან გადადგა და ბოლო ნაბიჯი, რასაც დგამს, მიმართულია დემოკრატიის მშენებლობისკენ, თუმცა ტირილს და მოთქმას არ დავიწყებ, თუ მარგველაშვილი პირველ ტურში ვერ გაიმარჯვებს,“ - აღნიშნა დავითაშვილმა.

გაზეთებისა და რადიოების მთავარ რედაქტორებთან შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა სხვა საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებაც ისაუბრა. პრემიერმა აღნიშნა, რომ ნინო ბურჯანაძის კრიტიკისგან თავს იკავებს, რადგან ამის საჭიროება არ არის და არც დანარჩენ საპრეზიდენტო კანდიდატებს აკრიტიკებს. თუმცა, ამავე შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა შალვა ნათელაშვილს - მასხარა, გიორგი თარგამაძეს კი მოღალატის ეტალონი უწოდა.

აღნიშნული განცხადების გამო გიორგი თარგამაძე სასამართლოში ჩივილს აპირებს და პრემიერისგან მოღალატეობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენას ითხოვს.

„აღარ ვიცი, ამ ყველაფერზე გამეცინოს თუ ნაწყენი დავრჩე. ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური შეფასება, ეს სერიოზული ბრალდებაა. არ მინდა, ამ შეურაცხყოფას შეურაცხყოფითვე ვუპასუხო. ამ ადამიანს, როგორც ჩანს, ამ საქმეში ვერ გავეჯიბრები. პრემიერს, როგორც ჩანს, კარგად არ ესმის ზოგიერთი სიტყვის შინაარსი. ეს აღარ არის ზოგადი შეფასება. ის ბრალდება, რომ მე სახელმწიფო მოღალატე ვარ, აბსურდია. თუ მას არ ესმის ამ სიტყვის შინაარსი, მივმართავ სასამართლოს, სადაც მას დეტალურად აუხსნიან, თუ რას ნიშნავს სახელმწიფო ღალატი და როგორ უნდა აგოს პასუხი ადამიანმა მსგავსი განცხადებისთვის, რაც არ უნდა ბევრი ფული და მაღალი თანამდებობა ჰქონდეს. არ ვაპირებ, სახელმწიფო მოღალატის სტატუსით ვიარო პოლიტიკაში. თუკი ივანიშვილს ამ ბრალდების მტკიცებულებები გააჩნია, სასამართლოში წარმოადგინოს, თუ არადა, ცილისწამებისთვის პასუხი უნდა აგოს როგორც ჩემი, ასევე ჩემი ამომრჩევლის წინაშე,“ - განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

ამასთან, გუშინდელ შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ისევ ისაუბრა ჟურნალისტების შესახებ. «მგონი „მაესტროს“ ჟურნალისტები „დაგოიმდნენ“, «როგორც ჩანს, ჟურნალისტები „ცოტა დაიბნენ და თავის უფლებებს გადააჭარბეს“, - აღნიშნავდა პრემიერი. მისივე თქმით, ჟურნალისტებმა დიანა ტრაპაიძემ და თეონა გეგელიამ თავიანთ გადაცემაში გამომაჟღავნეს, რომ „მიშა ენატრებათ“.

ამ განცხადებას «მაესტროს» ჟურნალისტი დიანა ტრაპაიძე გამოეხმაურა. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილს არაადეკვატური შთაბეჭდილებები აქვს.

„მთავარია, კონტექსტი და არა ფრაგმენტი. კონტექსტი ამ შემთხვევაში მარტო ერთი დამახინჯებული ფრაზა ან ერთი გადაცემაც კი არა, არამედ ჩვენი პროფესიული ბიოგრაფიაა. დღეს დავინახეთ, რომ მას სრულად არ აწვდიან ინფორმაციას და არაადეკვატური შთაბეჭდილებები აქვს. კარგია, რომ ჩვენს გადაცემას უყურებენ. უკეთესი იქნებოდა, პრემიერს თავად ენახა ის გადაცემა, რაზეც ჰქონდა პრეტენზიები. ჩვენ, სააკაშვილის მიერ მონოპოლიზებული მედიასივრცის მიღმა არსებობას ვახერხებდით. სააკაშვილის დრო რომ არ მენატრება, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მომეწონება,“ - აღნიშნა დიანა ტრაპაიძემ.

ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა ღლონტი კი მიიჩნევს, რომ პრემიერის გარემოცვა პიარის დარგში უსუსურია.

„ჩემი აზრით, გარემოცვა, რომელიც მას ამ დარგში ჰყავს, სუსტი, უსუსურია და პიარის სფეროში საკუთარ მარცხს უაზრო ჭორებით ამართლებს. ეჭვი მეპარება, ბიძინა ივანიშვილი ყოველდღე ამ დოზით უყურებდეს ტელევიზორს, დიანა ტრაპაიძისა და თეონა გეგელიას გადაცემებს. ვფიქრობ, მასთან არასწორი ინფორმაცია მიაქვთ,“ - აღნიშნა ღლონტმა.

მისივე თქმით, პრემიერს ჟურნალისტიკაზე არასწორი წარმოდგენა აქვს. **„ქება-დიდება პიარსამსახურის მოვალეობაა. ჟურნალისტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა კი კრიტიკა და ახალი ამბების მიწოდებაა,“** - დასძენს ღლონტი.

გუშინდელ შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ გამოძიება მიმდინარეობს და ამ საქმეში სერიოზული კითხვები არსებობს.

მთავარი პროკურორი საქმეში ახალი მტკიცებულებების არსებობას ადასტურებს, თუმცა განმარტავს, რომ საქმე ჯერ არ არის გახსნილი.

„შემიძლია იმის თქმა, რომ საქმეში ნამდვილად არის ახალი მტკიცებულებები, ახალი გარემოებები და შესაბამისად - ახალი ვერსია. გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს და ხდება მათი შემოწმება, დადგენა. საქმის გახსნა ნიშნავს იმას, რომ დავადგინოთ, რა მოხდა და აქედან გამომდინარე, დავადგინოთ ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ ვითარებაში მონაწილეობდნენ. ამ კონდინციამდე ჯერ არ მივსულვართ,“ - განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

გარდა ამისა, გუშინდელ შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილს ჰკითხეს, თუ როგორ აფასებს იმ ფაქტს, რომ ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის რეზოლუციაში „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი პოლიტიკურ პატიმრად არის მოხსენებული და ევროპარლამენტარები საქართველოს მთავრობისგან ვანო მერაბიშვილის გათავისუფლებას მოითხოვენ.

ამის პასუხად პრემიერმა თქვა, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია დღემდე საქართველოსთვის „ჩირქის მოცხებითაა“ დაკავებული. ივანიშვილით თქმით, გიგა ბოკერიას სამსახური მთლიანად სააკაშვილის პიარკამპანიაზე იყო მორგებული და ამისთვის 16 მილიონზე მეტი მარტო წინა წელს აქვს დახარჯული.

ივანიშვილის აზრით, სწორედ ამ ტიპის პიარკამპანიისა და ლობისტების აქტიური მუშაობის შედეგია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ რიგ რეზოლუციებში გაჩენილი ეჭვები, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული.

„ეს იყო შედეგი იმისა, რომ მთელი ევროპა სიცრუეში ჰყავდათ. ასევე ატყუებდნენ ამერიკას, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთეულები დარჩნენ, ვინც საეჭვოდ უჭერენ მხარს „ნაციონალურ მოძრაობას“. ზოგიერთ ასეთ მეგობარზე კვლევებიც მაქვს ჩატარებული და თავის დროზე მინიშნებას გავაკეთებ,“ - თქვა საქართველოს პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრის ამ განცხადებას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ გამოეხმაურნენ. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების განმარტებით, ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დასკვნის შესახებ ბიძინა ივანიშვილის განცხადება ქვეყანას ვნებს.

„ბიძინა ივანიშვილი, იმის მაგივრად, რომ საქართველოსთვის საზიანო კურსს გადახედოს, რომელიც ჩვენი მეგობრების აღშფოთებასა და წუხილს იწვევს, თავს ესხმის ევროპარლამენტარებს და შეურაცხყოფას აყენებს მათ. ვილნიუსის სამიტზე ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების შემდეგ ჩვენი საერთო ამოცანაა, რომ ერთი წლის განმავლობაში, როგორც გაცხადებული იყო, ხელი მოეწეროს ასოცირების ხელშეკრულებას და ძალაში შევიდეს. ასეთი მილიტარისტული დამოკიდებულებით ივანიშვილი ამ ყველაფერს საფრთხეს უქმნის,“ - აღნიშნა საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი კანდელაკმა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი თინა ბოკუჩავა კი მიიჩნევს, რომ ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტისადმი პრემიერის დამოკიდებულება ღიმილისმომგვრელია.

„პრემიერ-მინისტრს, ეტყობა, ჩვენ ყოვლისშემძლენი ვგონივართ, რადგან იგი მიიჩნევს ხოლმე, რომ სხვადასხვა საპარლამენტო ასამბლეები, ისეთი გამოცემები, როგორიც არის „ვაშინგტონ პოსტი“, „ეკონომისტი“ და სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმები მთლიანად არიან ჩვენი გავლენის ქვეშ. ეს ღიმილისმომგვრელია. ასეთი არაადეკვატური რეაგირება დამცინავია, რაც მთელი ქვეყნისთვის საზიანოა,“ - აღნიშნა ბოკუჩავამ.

პრემიერის განცხადებას იმის შესახებ, რომ ელჩები ევროპარლამენტარებს „ნაციონალური მოძრაობისთვის“ სასარგებლო გადაწყვეტილების მისაღებად ქრთამს აძლევდნენ, ცილისწამებას უწოდებს საქართველოს ყოფილი ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში სალომე სამადაშვილი.

„შოკისმომგვრელია ეს განცხადება, ეს არის დიპლომატიური კორპუსის, ყოფილი ელჩების დადანაშაულება მძიმე დანაშაულში, როგორიც არის ქრთამის მიცემა. იმედია, პრემიერი რამე საბუთს წარადგენს სიტყვების დასასაბუთებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გაუგებარია. ბრიუსელში ლობისტურ კომპანიებში მილიონები იხარჯება, მაგრამ მილიონებს ხარჯავს კოალიცია „ქართული ოცნება“. ბოლო ორი წლის მანძილზე კოალიცია ხუთ პიარკომპანიასთან მუშაობს, - ამბობს სალომე სამადაშვილი და დასძენს, რომ **„პრემიერი, რომლის გამოცდილებაც მხოლოდ რუსეთის ოლიგარქიულ წრეებში ტრიალით შემოიფარგლება, ვერ ასხვავებს ევროპარლამენტს რუსეთის დუმისგან, სადაც ფულით სავსე ჩემოდნით სასურველი გადაწყვეტილების ყიდვა შეუძლია.“**

დავით კეზერაშვილმა სასამართლო დავა მოიგო

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ბიზნესმენ თამაზ ნიჟარაძესა და «არგო ტრანსლიმიტედს» შორის ფოთის პორტის შესახებ დავაზე გადაწყვეტილება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გამოიტანა. ამის შესახებ «Frontnews»-ს ნიჟარაძის ადვოკატმა შალვა ხაჟაპურიძემ განუცხადა.

მისი თქმით, «ადეიშვილის, მერაბიშვილის და კუბლაშვილის ჯიბის მოსამართლეებმა ვანო წიკლაურმა, ალექსანდრე იოსელიანმა და ხათუნა არევაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ბათილად ცნეს და დანაშაულებრივი გადაწყვეტილებით მონოპოლია დააკანონეს».

მისივე მტკიცებით, აპელანტი კომპანიის უკან თავდაცვის ექს-მინისტრი დავით კეზერაშვილი დგას.

»ამ გადაწყვეტილებას ჩვენ აუცილებლად გავასაჩივრებთ. მინდა, წულუკიანს ვუთხრა, რომ არანაირი სასამართლო რეფორმა არ ჩატარებულა და იმედს გამოვთქვამ, არჩევნების შემდეგ მაინც გვეშველება და სასამართლოს ეს შავბნელი ძალა მოშორდება,» - განაცხადა ადვოკატმა.

ცნობისათვის - თამაზ ნიჟარაძე თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილს წილების მითვისებაში ადანაშაულებს. როგორც ბიზნესმენი განმარტავს, მის მფლობელობაში არსებული ფოთის პორტის წილები კეზერაშვილმა მუქარის შედეგად ჩამოართვა, თავად წილები კი ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანია «არგო ტრანსლიმიტედს» ეკუთვნის. მისივე თქმით, აღნიშნულ კომპანიასა და ფოთის პორტს შორის გრძელვადიანი ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც ფოთის ფორტში ტვირთების შეტანის უფლება მხოლოდ «არგო ტრანსლიმიტედს» აქვს.

ნიჟარაძის საჩივრის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული ხელშეკრულება ბათილად ცნო, თუმცა გადაწყვეტილება კომპანიამ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

სასამართლომ ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეში ერთ-ერთ ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ამირან (ბუტა) რობაქიძის მკვლელობის საქმეში ერთ-ერთ ბრალდებულ მაიზერ ლიპარტელიანს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, მაიზერ ლიპარტელიანს ბრალად ედებოდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, განზრახ უკანონო დაკავებისა და სამსახურებრივი სიყალბის ორგანიზება და სხვა პირადი მოტივით მოწმის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა.

„საქმის მასალების თანახმად, 2012 წლის 26 ნოემბერსა და 14 დეკემბერს, მ. ლიპარტელიანი მოწმის სახით დაიკითხა ამირან (ბუტა) რობაქიძის მკვლელობის საქმეზე და განაცხადა, რომ ავტომატური ან სხვა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა მას მკვლელობის ადგილზე არ შეუნიშნავს. თუმცა, 2013 წლის 21-22 და 25 თებერვალს მოწმის სახით მიცემულ ჩვენებებში, ასევე ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში აღნიშნა, რომ პატრულის თანამშრომლების ხელში დაინახა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და რევოლვერი, რაც, მათივე განმარტებით, გარდაცვლილი რობაქიძის მეგობრებს აღმოაჩნდათ დაკავებისა და ჩხრეკის პროცესში.

ლიპარტელიანს ასევე ბრალად ედებოდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ატაშეს - ნ. ჯანჯღლავას ადმინისტრაციული წესით უკანონო დაკავებისა და დაკავების შესახებ ყალბი დოკუმენტების შედგენის ორგანიზება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მაიზერ ლიპარტელიანი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, განზრახ უკანონო დაკავების და სამსახურებრივი სიყალბის ორგანიზების ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო და გაამართლა. ხოლო, რაც შეეხება სხვა პირადი მოტივით მოწმის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის ბრალდებას, საქმის არსებითი განხილვისას, სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, უტყუარად ვერ დადგინდა მოწმის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის პირადი მოტივი და საბოლოოდ, პირის მსჯავრდება მოხდა მართლმსაჯულებისთვის შეგნებულად ხელის შეშლისთვის, რაც გამოიხატა მოწმის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემაში,“ - აცხადებენ საქალაქო სასამართლოში.

მაიზერ ლიპარტელიანს ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის სახედ და ზომად ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული განაჩენის გასაჩივრება შესაძლებელია განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

იანუკოვიჩი ტიმოშენკოს გაშვების პირობას იძლევა

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა დონეცკის ოლქის ქალაქ სვეტლოდარსკში ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ პარლამენტში წარმოდგენილმა პარტიებმა მოამზადეს კანონი, რომელიც, მიღების შემთხვევაში, ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს გერმანიაში სამკურნალოდ გასაშვებად იურიდიულ საფუძვლებს შექმნის. ტიმოშენკო ამჟამად 7-წლიან სასჯელს იხდის ფორმალურად ხარკოვის ციხეში, რეალურად კი - საავადმყოფოშია მოთავსებული. იანუკოვიჩმა თქვა, რომ ის ხელს მოაწერს კანონს, რომელსაც პარლამენტი მიიღებს. შემდეგ კი ალბათ რაღაც მექანიზმები იქნება გასავლელი, მათ შორის სასამართლო. ტიმოშენკოს გათავისუფლება მთავარი პირობაა უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოციაციის ხელშეკრულების გასაფორმებლად, რაც ვილნიუსის სამიტზე იგეგმება.

აშშ-მ ირანთან მოლაპარაკებებს პირდაპირი და სერიოზული უწოდა

ოთხშაბათს ირანსა და ე.წ «ექვსეულს“ შორის ქვეყნის ბირთვული პროგრამის შესახებ ორდღიანი მოლაპარაკებები დასრულდა, რაზეც გუშინ უკვე წერდა «24 საათი“. გუშინ ამ რაუნდის შესახებ უკვე გამოხმაურებები გამოქვეყნდა. ამერიკამ აღნიშნულ მოლაპარაკებებს ყველაზე სერიოზული და პირდაპირი უწოდა. თუმცა, ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა რეპორტიორებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ამ შეხვედრის შემდეგ მრავალი უთანხმოება კვლავ რჩება. გავრცელებული ინფორმაციით, მოლაპარაკებების დროს ირანმა მიანიშნა, რომ სანქციების შემსუბუქების სანაცვლოდ ბირთვული საქმიანობის შეჩერებაზეა თანახმა. ამის შესახებ თეორი სახლის წარმომადგენლმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ «ირანის ეს შემოთავაზება შეიძლება, ყველაზე სერიოზულ წინადადებად იქნეს განხილული, როგორიც აქამდე არ გვქონია.“ თუმცა, კარნიმ დაამატა, რომ ირანის ბირთვულ პროგრამის გარშემო პრობლემების ერთ ღამეში მოგვარების იმედი არც ჰქონდა ვინმეს. ირანის განზრახვებში კი ყველაზე მეტად ეჭვი, ტრადიციულად, ისრაელს შეაქვს. ქვეყნის პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ირანის ახალ პრეზიდენტ ჰასან როუჰანის ცოტა ხნის წინ «ცხვრის ტყავში გახვეული მგელი“ უწოდა. ცნობისათვის - გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე გამოსვლისას როუჰანიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ბირთვული იარაღის შექმნას არ გეგმავს.

მალიში გაეროს მისიას მეტი ჯარისკაცი და აღჭურვილობა სჭირდება

გაერომ მალიში სამშვიდობო ძალებისთვის მეტი ჯარისკაცი და აღჭირვილობა მოითხოვა. მალიში გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ბერტ კოენდერის თქმით, ბოლოდროინდელი თავდასხმები «გამოსაფხიზლებელი“ უნდა იყოს. მისი განცხადებით, გაეროს ძალებს მეტი რესურსი სჭირდება ქვეყნის ჩრდილოეთით ვითრების დარეგულირებისთვის. ქვეყნის ჩრდილოეთში გაბატონებული შეირაღებული მებრძოლების გასაძევებლად იანვარში ქვეყანაში ფრანგი ჯარისკაცები შევიდნენ. ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები ივლისში გაიმართა, თუმცა ამის შემდეგაც ჩრდილოეთ ნაწილში ტუარეგებისა და ისლამისტი მებრძლების თავდასხმები არ წყდება. მაგალითად, 28 სექტემბერს აფეთქება მოხდა ქალაქ ტიმბუქტუში, 7 ოქტომბერს კი გაოში შეიარაღებულმა მებძოლებმა რაკეტები ისროლეს. «ჩვენ მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგავართ,“ - განუცხადა ბერტმა გაეროს უშიშროების საბჭოს.

ლე პენი: «ევროკავშირი შესაძლოა, საბჭოთა კავშირივით ჩამოინგრეს"

ევროკავშირი ისევე ჩამოიშლება, როგორც საბჭოთა კავშირი, - ამის შესახებ საფრანგეთის «ეროვნული ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა ფრანგულ რადიო RFI-ს განუცხადა. «ევროკავშირი, საბჭოთა კავშირის მსგავსად, ჩამონგრევის პირასაა. მინდა, რომ ევროპა კვლავ სუვერენული ქვეყნების კავშირს წარმოადგენდეს,“ - აღნიშნა ლე-პენმა. «ეროვნული ფრონტის“ ლიდერმა პირობა დადო, რომ ეს ბლოკი კვლავ «სუვერენული ქვეყნების თანამშრომლობაზე იქნება დაფუძნებული“, ამასთან დაამატა, რომ ევროპის მოსახლეობას არ გააჩნია კონტროლი ეკონომიკასა და ფულის მიმოქცევაზე, ისევე როგორც მათ ტერიტორიაზე ხალხის «მიმოსვლაზე კონტროლი“.

აშშ-ს ეროვნული უშიშროების სააგენტოს დირექტორი გადადგომას გეგმავს

ამერიკის ეროვნული უშიშროების სააგენტოს დირქტორი კიტ ალექსანდერი, მის მოადგილე კრის ინგლისთან ერთად, უახლოეს თვეების განმავლობაში გადადგომას გეგმავს. ალექსანდერი ამ თანამდებობაზე 2005 წლის აგვისტოდან მოყოლებული იმყოფება. როგორც აღნიშნავენ, მისი გადადგომა, შესაძლოა, ედუარდ სნოუდენის მიერ ამ სააგენტოს საიდუმლო პროგრამის გამჟღავნებას უკავშირდება. ალექსანდერი თანამდებობაზე, შესაძლოა, ვიცე-ადმირალმა მაიკლ როჯერსმა ჩაანაცვლოს. როგორც «როიტერს“ ამერიკელმა მაღალჩინოსანმა განუცხადა, ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის და აღნიშნულ თანამდებობაზე სხვა კანდიდატებსაც განიხილავენ. თავად სააგენტოს წარმომადგენელს კი ალექსანდერის მოსალოდნელი თანამდებობიდან წასვლის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია.

მოამზადა თამთა კახაძემ

ამერიკამ დეფოლტი თავიდან აიცილა

პირველი გვერდიდან

ჰარი რიდი დემოკრატ სენატორებთან ერთად

კონგრესმა ქვეყნის დროებითი სამთვიანი ბიუჯეტი მიიღო, რომელიც 2014 წლის 14 იანვრამდე გულისხმობს მთავრობის დაფინანსებას. ასევე პატარა მოცულობით (ციფრი გუშინ არ გამოქვეყნებულა) აიწია სახელმწიფო სესხის ზედა ზღვარი, რომელიც აღამასრულებელი ხელისუფლებისთვის 2014 წლის 7 თებერვლამდე იქნება საკმარისი. აქამდე მაქსიმალური ზღვარი 16,7 ტრილიონი დოლარი იყო, რომელიც ჯერ კიდევ მაისში ამოიწურა და აშშ-ს ხაზინა ფინანსური ვალდებულებების გასასტუმრებლად საგანგებო ზომებს მიმართავდა.

აშშ «ტექნიკური დეფოლტის“ წინაშე რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის პოლიტიკური დაპირისპირების გამო აღმოჩნდა. რესპუბლიკელები, რომლებიც უმრავლესობას ფლობენ ქვედა პალატაში, ბიუჯეტის დამტკიცებას და ვალის ზედა ზღვრის აწევას ბოლო რამდენიმე წელია, ინსტრუმენტად იყენებენ დემოკრატებისგან დათმობის მისაღებად. კერძოდ, რესპუბლიკელებს სურდათ ობამას მთავარი მონაპოვრის - ჯანდაცვის სისტემის რეფორმის შეფერხება, უფრო კონკრეტულად, რეფორმის საკვანძო კომპონენტის - საყოველთაო დაზღვევის დაფინანსების გადადება ერთი წლით. «24 საათი“ დაწვრილებით წერდა მიმდინარე დაპირისპირებაზე და მისი არსი ჩვენი მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი. თორემ ვალის ზედა ზღვარი 60-იანი წლების შემდეგ 70-ზე მეტჯერ გაიზარდა და ეს უმეტეს შემთხვევაში უმტკივნეულოდ და უხმაუროდ კეთდებოდა.

დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის გუშინწინ სენატში მიღწეულ შეთანხმებას, რაზეც ჩვენ უკვე ვწერდით, კენჭი ეყარა ჯერ იქვე, ზედა პალატაში და შემდეგ წარმომადგენელთა პალატაში, თუმცა თავიდან თანამიმდევრობა პირიქით იყო დაგეგმილი. სენატში მომხრე იყო 81 წევრი, ხოლო წინააღმდეგი - 18. წარმომადგენელთა პალატაში მომხრე იყო 285 და წინააღმდეგი 144. რადიკალურად განწყობილი რესპუბლიკელების ნაწილს ხმის მიცემაში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა. მომხრე იყო დემოკრატების ფრაქცია მთლიანად და ზომიერი რესპუბლიკელების ნაწილი.

შეთანხმება აგრეთვე გულისხმობს სპეციალური კომისიის შექმნას, რომელშიც ორივე პალატის წარმომადგენლები შევლენ. ამ კომისიამ გრძელვადიანი (მთელი წლის) ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი უნდა ჩამოაყალიბოს. მათ მუშაობის შედეგები 2013 წლის 13 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინონ.

კონგრესში დოკუმენტის დამტკიცებისთანავე პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა: «ჩვენ თავიდან უნდა მოვიცილოთ მავნე ჩვევა, როცა გადაწყვეტილების მიღება კრიზისის ზეწოლის პირობებში გვიწევს.“ მისი სიტყვებით, თეთრ სახლს კიდევ დიდი ხნის მუშაობა დასჭირდება ამერიკელი ხალხის თვალში დაკარგული ნდობის დასაბრუნებლად. სენატში დემოკრატების ლიდერმა ჰარი რიდმა კი დასძინა: «პატიოსნად ვაღიაროთ, რომ მთელი ერი ყოველგვარი სერიოზული მიზეზის გარეშე უამრავ პრობლემას გადააწყდა და ასეთი შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ.“

ბიუჯეტის დროებითი ვარიანტი არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან დათმობებს დემოკრატების და ობამას ადმინისტრაციის მხრიდან რესპუბლიკელებისთვის, მათ შორის არც ჯანდაცვის რეფორმის საკითხში. რესპუბლიკელებმა მხოლოდ ამ კანონის ერთი მუხლის გადახედვას მიაღწიეს, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო სუბსიდიას სამედიცინო დაზღვევის მიღებისას. ექსპერტების უმრავლესობა ამ შეთანხმებას ცალსახად მიჩნევს ობამასა და დემოკრატების გამარჯვებად, მიუხედავად იმისა, რომ ის მოკლევადიანია და მოლაპარაკება უნდა გაგრძელდეს.

რესპუბლიკელების დამარცხება ამ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, სენატორმა ჯონ მაკკეინმაც აღიარა: «რესპუბლიკელებმა უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ეს ბრძოლა წავაგეთ, როგორც წინასწარ ვვარაუდობდი. ჩვენ არ შეგვეძლო გამარჯვება, რადგან შეუსრულებელ მოთხოვნას ვაყენებდით.“

სირიის კონფერენციის თარიღი კვლავ გაურკვეველია

ივა შილაკაძე

სირიის ეროვნული საბჭო

სირიაში და მის გარშემო ისევ დაძაბული სიტუაციაა. ჟენევაში დაგეგმილი სამშვიდობო კონფერენციის ჩატარების ვადების შეთანხმება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ამაში „მთავარ დამნაშავედ“ სირიის ოპოზიცია მიიჩნევა. მათი შეადარებით ზომიერი ნაწილიც ჯერ ვერ დაითანხმეს კონფერენციაში მონაწილეობაზე. ქიმიური იარაღის განადგურების პროცესიც დროებით შეფერხდა, რადგან საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, სად უნდა გაიტანონ მომწამვლელი ნივთიერებების მარაგი ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად. ბრძოლები მიმდინარეობს სირიის სხვადასხვა ნაწილებში, მათ შორის თურქეთის საზღვართანაც, რამაც ისევ გამოიწვია თურქების ჩარევა სიტუაციაში, ამჟამად ისლამისტი ამბოხებულების წინააღმდეგ.

მედია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ „ჟენევა 2“-ის ჩატარების თარიღმა კვლავ გადაიწია ნოემბრის შუა რიცხვებიდან ნოემბრის ბოლოსთვის, შესაძლოა დეკემბრის დასაწყისისთვისაც. ამის მიზეზი სირიის ოპოზიციის სიჯიუტეა, ცოტა ხნის წინ კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი თქვა „სირიის ეროვნულმა საბჭომაც“. ამ დემარშის შემდეგ რუსმა დიპლომატებმა ამერიკელი კოლეგების მიმართ საყვედური გამოთქვეს, რადგან სირიის ოპოზიციასთან „მუშაობა“ მათი პასუხისმგებლობის სფეროა. თვით რუსები ამაყად აცხადებენ, რომ საკუთარი დავალება მთლიანად შეასრულეს და ასადის ხელისუფლება კონფერენციაში მონაწილეობაზე მზადყოფნას აცხადებს.

კონფერენციის გადატანა სირიის ვიცე-პრემიერმა კადრი ჯამილმაც დაადასტურა. მან თქვა, რომ რუს დიპლომატებთან კონფერენციის ჩატარების დაახლოებითი, ჯერ კიდევ ჰიპოთეტური თარიღები განიხილა. თუმცა მან თქვა, რომ სირია ახლა იმდენად ახლოა სამშვიდობო კონფერენციის ჩატარებასთან, როგორც არასდროს. კადრი ჯამილის სიტყვებით, ახლა მეორეხარისხოვანია ის, თუ როდის ჩატარდება კონფერენცია, მთავარია ის, რომ ეს ფორუმი დიალოგისა და ურთიერთგაგების ტრიბუნა იქნება.

ამ პესიმისტური ინფორმაციის მიუხედავად, გაერო მაინც ცდილობს კონფერენციის ჩატარებას ნოემბრის შუა რიცხვებისთვის. ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა განაცხადა, რომ გაეროსა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ერთობლივი წარმომადგენელი სირიის კონფლიქტის საკითხებში, ლახდარ ბრაჰიმი კვლავ მიემგზავრება ახლო აღმოსავლეთში სწორედ „ჟენევა 2“-ს ჩასატარებლად კონსულტაციებისთვის. გენერალური მდივნის სიტყვებით, გაერო შეეცდება, მხარეები სწორედ ნოემბრის შუა რიცხვებისთვის დაიყოლიოს. ლახდარ ბრაჰიმის მოადგილე ნასერ ალ-კიდვა კი თურქეთში გაემგზავრება უშუალოდ სირიის ოპოზიციის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად.

მოულოდნელი სირთულეები წარმოიშვა სირიის ქიმიური არსენალის განადგურების პროცესშიც. მხარეები ვერ შეთანხმდნენ, თუ რომელ ქვეყანაში უნდა გაიტანონ მომწამვლელი ნივთიერებები გასანადგურებლად. ამ როლზე რუსეთმა მოლაპარაკებების საწყის ეტაპზევე თქვა უარი, არადა მას ამისთვის ძალიან მძლავრი ინფრასტრუქტურა გააჩნია. ასადი თავიდან ქიმიური იარაღის განადგურებას საკუთარ ტერიტორიაზევე აპირებდა, თუმცა ეს ალბათ პრობლემატურია იქ მიმდინარე ბრძოლების გამო. ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებენ ოთხ სახელმწიფოსთან, მათ შორის მოსაზღვრე თურქეთსა და იორდანიასთან. ორი დღის წინ სირიის ქიმიური იარაღის განადგურების კოორდინატორად გაეროს მხრიდან დაინიშნა ნიდერლანდების წარმომადგენელი სიგრიდ კააგი.

გუშინწინ სირიიდან ნასროლი ყუმბარა თურქეთის ტერიტორიაზე, ქალაქ კილისთან უშუალო სიახლოვეს დაეცა. სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, თურქეთის საზღვართან ახლოს მიმდინარეობდა ბრძოლა ამბოხებულთა ორ დაჯგუფებას შორის. საპასუხოდ თურქეთის არმიამ თვითმავალი ქვემეხებიდან ოთხი ჭურვი ისროლა მთების აზეზის და პარსას მიმართულებით. ეს ზონა „ალ ქაიდასთან“ დაკავშირებული ისლამისტების „ერაყის და ლევანტის სახელმწიფოს“ (სხვა ინფორმაციით, „ჯებჰატ ალ-ნუსრას“) კონტროლირებად ზონად მიიჩნევა. მოგვიანებით თურქ სამხედროებს მთლიანად ჩაბარდა ამბოხებულთა 85-წევრიანი რაზმი „ჩრდილოეთის გრიგალი“. თურქეთი ამბოხებულების დახმარების საკითხის გადახედვაზე უკვე დაფიქრდა. ანკარა სირიის ოპოზიციას დღემდე აქტიურად ეხმარებოდა, ახლა კი მას ზოგიერთები უკვე „ალ ქაიდასთან“ ასოცირებული დაჯგუფებების დახმარებაში სდებენ ბრალს.

სირიაში ალეპოს რაიონშიც აქტიური ბრძოლებია. ცოტა ხნის წინ ალეპოს მთავარი ციხე ამბოხებულების ხელში გადავიდა.

ამ ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაზე ზოგადად და ქრისტიანებისთვის შექმნილ გაუსაძლის პირობებზე „ბი-ბი-სის“ ინტერვიუ მისცა ამჟამად ბრიტანეთში სტუმრად მყოფმა, სირიის მელკიტური ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის პატრიარქმა გრიგორი III ლაჰამმა. მისი სიტყვებით, სხვადასხვა მიმართულებების სირიელი ქრისტიანების, დაახლოებით, მესამედი, 450 ათასი ადამიანი, ამ ქვეყანაში მცხოვრები 1,75-მილიონიანი მრევლიდან, იძულებული გახდა, საცხოვრებელი სახლები მიეტოვებინა. მათმა ნაწილმა სახელმწიფო საერთოდ დატოვა.

2013 წლის პრემია „დურუჯის„ ლაურეატები 20 ოქტომბერს გამოვლინდებიან

პირველი გვერდიდან

საბოლოო ფარული კენჭისყრა პრემიის ლაურეატების გამოსავლენად ჟიურის წევრებს შორის დაჯილდოების დღეს, ღონისძიებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩატარდება. გამარჯვებულების ვინაობა სადღესასწაულო ცერემონიაზე გაცხადდება.

დურუჯი 2013“ გაიცემა შემდეგი ნომინაციებისთვის:

- საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი - პრემიის ოდენობა შეადგენს 14 000 ლარს;
- საუკეთესო მსახიობი ქალი - პრემიის ოდენობა შეადგენს 2 000 ლარს;
- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - პრემიის ოდენობა შეადგენს 2 000 ლარს;
- საუკეთესო თანამედროვე ქართული პიესის ავტორი - პრემიის ოდენობა შეადგენს 2 000 ლარს;
- საუკეთესო სცენოგრაფი - პრემიის ოდენობა შეადგენს 2 000 ლარს;
- საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი - გადაეცემა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი 10 000 ლარის ოდენობით მომავალ, 2013-2014 წლების სეზონზე სპექტაკლის დასადგმელად.

სასიხარულოა, რომ დურუჯი“ კვლავაც ინარჩუნებს თეატრალურ სფეროში დაწესებული ყველაზე პრესტიჟული კერძო პრემიის სახელს. ეს ჯილდო გახდა ერთგვარი ხარისხის ნიშანი“, რომლის მიღებაც მეტად საამაყოა ხელოვანთათვის. დურუჯი“ დაფასებაა, აღიარება იმ შრომის და ენერგიისა, რომელიც არტისტების მიერ სეზონის განმავლობაში განხორციელებული თითოეული ნამუშევრის შექმნაში იყო ჩაქსოვილი“, - აცხადებს პრემიის დამფუძნებელი, კომპანია „რედიქსის“ გენერალური დირექტორი ბატონი ლაშა პაპაშვილი.

თეატრალური პრემია „დურუჯის“ პარტნიორია კომპანია „რედიქსი“; საინფორმაციო მხარდამჭერები - ტელეკომპანია „რუსთავი 2“, გაზეთი „24 საათი“, რადიო „ფორტუნა“; მხარდამჭერები - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ბანკი რესპუბლიკა“, ველნესცენტრი კლუბი 71“, სასტუმრო კაბადონი“, „ჯეოსელი“, სამოსელი პირველი“, KEUNE, გამომცემლობა დიოგენე“, საიუველირო მაღაზიათა ქსელი ბაკარა“, „ისიპარი“, „ფრეზია“, „ირაკლი წულაძე ქანდაკება“.

სატრანსპორტო მომსახურებისთვის გთხოვთ 20 ოქტომბერს, 12:00 საათზე მობრძანდეთ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას N27 (ყოფილი სასტუმრო «მუზა», ვერის პარკთან). 24 საათი

ტოკიო „ბრმა პაემნებს„ მასპინძლობს

ლევან კოღუაშვილის ფილმი საკონკურსო პროგრამაშია

ია ვაკა

გუშინ ტოკიოში 26-ედ გაიშალა მწვანე ხალიჩა, რომლითაც მსოფლიო კინოს ვარსკვლავებმა გახსნის ცერემონიალის მასპინძელი დარბაზისკენ მიმავალი გზა გაიკვლიეს. წესით, მათ შორის ერთი ქართველი უნდა ყოფილიყო, კონკრეტულად ლევან კოღუაშვილი, რადგან მისი ბოლო ფილმი „ბრმა პაემნები“ ფესტივალის მთავარ საერთაშორისო კონკურსშია ჩართული, რაც ფილმისთვის უკვე გახლავთ მნიშვნელოვანი წარმატება. „ბრმა პაემნებს“ 14 კონკურენტი ფილმი ჰყავს, მათ შორის საუკეთესოს 25 ოქტომბერს დაასახელებენ.

„ბრმა პაემნების“ საერთასორისო პრემიერა სექტემბრის დასაწყისში ტორონტოში გამართულ კინოფესტივალზე შედგა. სწორედ მაშინ ვივარაუდეთ, რომ მსოფლიოს ყველაზე დიდ კინობაზრობაზე მოხვედრილი ფილმისთვის საფესტივალო გზა სწორედ აქ დაიგეგმებოდა და ასეც მოხდა. მართალია, ტოკიოს კინოფესტივალი არ გახლავთ კანის, ბერლინისა თუ ვენეციის ფესტივალების მსგავსად ა კლასისა, ის აზიის უმსხვილეს კინოფორუმად მიიჩნევა და მსოფლიოშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

კოღუაშვილის „ბრმა პაემნების“ შესახებ „24 საათი“ ადრეც წერდა, თუმცა რამდენიმე დეტალს მაინც შეგახსენებთ: ფილმის სიუჟეტი არც თუ ახალგაზრდა უცოლო მამაკაცის გარშემო ვითარდება. 40 წლის სანდრო მასწავლებელია, ნაკლებად მიმზიდველია, ქალებში პოპულარობით არ სარგებლობს, ამიტომ პაემნების საიტზე გაცნობილ პირველივე ქალს ხვდება და უყვარდება კიდეც. თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ასე მხოლოდ შორიდან ჩანს. საქმე ის გახლავთ, რომ სანდროს შეყვარებულს ქმარი ჰყავს, თანაც საკმაოდ პრობლემური.

კოღუაშვილის ფილმის პროდუსერი „ქუჩის დღეების“ მსგავსად ამჯერადაც ქეთი მაჭავარიანია. მთავარ როლებს ასრულებენ: ანდრო საყვარელიძე, ია სუხიტაშვილი, არჩილ ქიქოძე, კახი კავსაძე და სხვები. სცენარზე კოღუაშვილმა ბორის ფრუმინთან („ქუჩის დღეების“ თანასცენარისტი) ერთად იმუშავა, ოპერატორი კი ტატო კოტეტიშვილი გახლავთ.

საერთაშორისო კონკურსში ასევე მოხვდა კვენტინ ტარანტინოს მიერ რამდენიმე დღის წინ შედგენილი 2013 წლის საუკეთესო ათეულის ერთ-ერთი ფილმი, ჯო შვანბერგის „ჭიქის მეგობრები“. ეს არის დაბალბიუჯეტიანი მსუბუქი დრამა რომანტიკული ელემენტებით, რომელიც მაყურებელში არც განსაკუთრებულ ემოციას ტოვებს და არც პრეტენზიის განცდას. შესაძლოა, ამ ფილმის მომხიბლაობა სწორედ ეს გახლავთ - მინიმალური შესაძლებლობებით შექმნილი პატარა ამბავი ოთხ ადამიანზე, ოთხ სიყვარულზე, წყვილებს შორის გაუცხოებასა და გაუმხელელ გრძნობებზე.

საკონკურსო ფილმია იაპონელი კოჯი ფუკადას „ნახვამდის, ზაფხულო“ - ფილმი პირველ სიყვარულზე, რომლის ფონზეც 18 წლის გოგონა ზრდასრულ ასაკში გადასვლის ბარიერებსა და უპირატესობებს ეცნობა. ქალის, ამჯერად ზრდასრული ქალის ამბავს გვიამბობს ფილიპინელი რობლეს ლანას „დალაქის ზღაპრები“. ფილმი თითქოს ერთი პერსონაჟის ირგვლივ ვითარდება, სინამდვილეში კი ღრმად სოციალურ დრამას წარმოადგენს, რასაც ფერდინანდ მარკოსის რეჟიმის დროინდელი ტრაგედიებიც ემატება. საკონკურსო გახლავთ ირანელი ბენამ ბეჰზადის (მას ხშრად ახსენებენ ასღარ ფარჰადის გვერდით) „წესების დარღვევა“, რომელშიც ამ ქვეყნის საზოგადოებისთვის ტიპური ისტორიები ვითარდება: ახალგაზრდა მასწავლებელი სამოყვარულო თეატრალურ დასს ხელმძღვანელობს, სურს, სპექტაკლებით ქვეყნის ქალაქები მოიაროს, მაგრამ ახალგაზრდა მსახიობებს მშობლები სახლის დატოვების უფლებას არ აძლევენ. სწორედ აქ იწყება დაპირისპირება მასწავლებელსა და უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის.

საკონკურსო სექციის დანარჩენი ფილმებია: იაპონელი ჰიდეო საკაკის „დავიწყებული ადამიანები“, ბრიტანელი რიჩარდ აიოადის „ორმაგი“, მექსიკელი არონ ფერნანდესის „ცარიელი საათები“, ფრანგი არნო ლარისა და ჟან-მარი ლარის „სიყვარული იდეალური დანაშაულია“, ისლანდიელი ბენედიქტ ერლინგსონის „ცხენები და ადამიანები“, კორეელი ლი ჟუ ჰონგის „წითელი ოჯახი“, თურქი რეჰა ერდემის „მომღერალი ქალები“, იტალიელი დანიელე ლუკეტის „ის ბედნიერი წლები“, ჩინელი ნინგ ინგის „იცხოვრო და მოკვდე ორდოსში“ და შვედი ლუკას მუუდისონის „ჩვენ საუკეთესოები ვართ!“.

ტოკიოს კინოფესტივალი პოლ გრინგრასის ფილმით „კაპიტანი ფილიპსი“ გაიხსნა (მთავარ როლში ტომ ჰენკსი). ეს გახლავთ რეალურ ისტორიაზე დაფუძნებული ფილმი, რომელსაც 2009 წელს სომალელ მეკობრეებთან ტყვედ ჩავარდნილი კაპიტან რიჩარდ ფილიპსის ავტობიოგრაფული წიგნი დაედო საფუძვლად. ფესტივალის დახურვის ფილმად კი იაპონელი კოკი მიტანის ისტორიული დრამა „თათბირი კიესუს სასახლეშია“ შერჩეული.

„მოწმეების „ჩადების„ პრაქტიკა"

პირველი გვერდიდან

6 წლის შემდეგ კი მოდის პროკურორი და გვეუბნება, რომ დანაშაული ჩავიდინეთ," - განაცხადა ახალაიამ და პროკურორ ლევან ადეიშვილს მიმართა, - **„თქვენი უფროსი კბილაშვილი „კანონიერი ქურდების" დამცველი იყო - კალაშოვის ადვოკატი. მხოლოდ იმიტომ დავეთანხმე პროკურატურის მტკიცებულებების დაშვებას, რომ პროცესებზე გამოჩენილიყო უზუსტობები და ეს გამოჩნდა კიდეც. იმედს ვიტოვებ, რომ სასამართლო ობიექტური იქნება,"** - განაცხადა ბაჩო ახალაიამ.

ამასთან, ბაჩო ახალაიას ადვოკატმა დავით დეკანოიძემ დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას აღნიშნა, რომ ე.წ. ციხის ბუნტის საქმეში სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის ინტერესები იკვეთება.

პროკურორი ლევან ადეიშვილი კი ამბობს, რომ აღნიშნულ საქმეზე ბაჩო ახალაიას და მასთან ერთად ბრალდებულთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა დადგეს.

„მიგვაჩნია, რომ დანაშაული მთლიანად დასტურდება, რომელიც ეხება უფლებამოსილების გადამეტებას და არაადამიანური მოპყრობის საქმეს. ამ საქმეზე ჩვენ არა მხოლოდ დაზარალებულების - ე.წ. კანონიერი ქურდების ჩვენებები წარმოვადგინეთ, არამედ 14 მოწმის ჩვენება, რომლებიც იმ პერიოდში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მუშაობდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩია, რომ მთლიანად დადასტურდა დანაშაული და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა დადგეს," - აღნიშნა ლევან ადეიშვილმა.

პროკურორმა ჟურნალისტებთან საუბრისას ბაჩო ახალაიას დასკვნითი სიტყვის კომენტირებისგან თავი შეიკავა, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ პოლიტიკოსი არ არის, შესაბამისად, ახალაიას პოლიტიკურ კომენტარებს ვერ შეაფასებს. ამასთან, ლევან ადეიშვილმა უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვას, თუ რატომ არ ისარგებლა მან რეპლიკის უფლებით სასამართლო პროცესზე.

„თქვენ მოისმინეთ დაცვის მხარის სიტყვა, ის ორ საათზე მეტხანს გრძელდებოდა. მე აღვნიშნე, რომ ბაჩო ახალაიას ვედავებით უფლებამოსილების გადამეტებას და არაადამიანურ მოპყრობას და არა - ციხის ბუნტის ორგანიზებას. დაცვის მხარე ამ ორი საათის განმავლობაში ერთსა და იმავეს ამბობდა, რომ ახალაია ციხის ბუნტის ორგანიზატორი არ არის. ამას არც ვედავებით, ამიტომ კარგად უნდა მოესმინათ ბრალდების მხარის დასკვნითი სიტყვა," - განაცხადა ლევან ადეიშვილმა.

„ციხის ბუნტის" საქმეში სოზარ სუბარის ინტერესების შესახებ კომენტარი გააკეთა ბაჩო ახალაიას მეორე ადვოკატმაც მალხაზ ველიჯანაშვილმა. მისი თქმით, ე.წ. ციხის ბუნტის საქმეში დაზარალებულად ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტები - ცინდელიანი, ავალიანი და ვიბლიანი სოზარ სუბარის თანასოფლელები, ნაწილი კი ნათესავები არიან.

„სახალხო დამცველობის პერიოდში სოზარ სუბარი მათ ხშირად ხვდებოდა და არსებობს ამ ადამიანის ინტერესი ამ საქმეში. სასჯელაღსრულების სისტემაში სუბარის მოსვლის შემდეგ ეს ადამიანები კვლავ პრივილეგიებით სარგებლობენ. ზოგიერთი მათგანი, მგონი, გათავისუფლდა კიდეც," - განაცხადა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

მან ბრალდების მხარის დასკვნითი სიტყვაც შეაფასა. როგორც ველიჯანაშვილმა აღნიშნა, პროკურატურის მტკიცებულებები ახალაიას დანაშაულს არ ამტკიცებს. ასევე, ადვოკატის შეფასებით, დასკვნითი სიტყვა არათანაბარი იყო. ველიჯანაშვილი იმედოვნებს, რომ სასამართლო გაითვალისწინებს საქმეში არსებულ უზუსტობებს და ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ცნობისათვის - ლევან ადეიშვილი მესამე პროკურორია აღნიშნულ საქმეზე. თავდაპირველად საქმე პროკურორ რევაზ ნადოის პიროებში იხილებოდა, რომელიც საქმეს, ოფიციალური ინფორმაციით, ავადმყოფობის გამო ჩამოშორდა. იგი ია დარჯანიამ შეცვალა, თუმცა 7 ოქტომბრის პროცესზე დარჯანიამ თქვა, რომ ახალაიას მეუღლესა და ადვოკატებთან ნაცნობ-მეგობრობის გამო ობიექტური ვერ იქნება და თვითაცილების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა. იმავე პროცესზე დარჯანიამ აღნიშნული საქმის გამგრძელებლად სასამართლოს თავისი კოლეგა ლევან ადეიშვილი წარუდგინა.

პროკურორების ცვლის გამო პროცესი რამდენჯერმე გადაიდო. ახალაიას ადვოკატებმა ია დარჯანიასთან მეგობრობა არ დაადასტურეს და მისი მხრიდან თვითაცილების შუამდგომლობა პროცესის პოლიტიკური მოტივით გაჭიანურებად შეაფასეს.

საპარლამენტო უმცირესობას დაგროვებითი პენსიის რეფორმის არ სჯერა

საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი გუშინ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე განიხილს. მომავალ წელს თავდაცვის სამინისტროსთვის 660 მილიონი ლარის გამოყოფა იგეგმება, საიდანაც 5 მილიონი ლარი სახელმწიფო დაზვერვას მოხმარდება. პროექტის მიხედვით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაფინანსება, 2013 წელთან შედარებით, 2 მილიონი ლარით მცირდება. საპარლამენტო უმცირესობა თავდაცვის სამინისტროსთვის ხარჯების შემცირებას დაუშვებლად მიიჩნევს. **„იმ პირობებში, როცა საქართველო რუსეთის მხრიდან მუდმივ ზეწოლას განიცდის, თავდაცვის სამინისტროსთვის ხარჯების შემცირება არ შეიძლება,"** - ამბობს უმცირესობის წევრი ტარიელ ლონდარიძე.

კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილს კი მიაჩნია, რომ გასულ წლებში ხელისუფლება თავდაცვაში არსებულ თანხებს არასათანადოდ ხარჯავდა. **ახალი ხელისუფლება შემცირებული ბიუჯეტითაც შეძლებს საქმის ეფექტურად კეთებას,"** - ირწმუნება ირაკლი სესიაშვილი.

სესიაშვილი იმასაც ამბობს, რომ ინფრასტრუქტურის ძალიან დიდი ნაწილი განადგურებული და, ფაქტობრივად, გამოუსადეგარი იყო, მაგრამ 2013 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სამინისტრომ 50 ობიექტზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება მოახერხა. სესიაშვილის ინფორმაციით, სამინისტრომ დამატებით 25 პროცენტით გაზარდა სამხედრო მოსამსახურეების ანაზღაურება, რაც პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ახალი ხელისუფლება თანხებს რაციონალურად იყენებს. **ამიტომ, 2014 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული დაფინანსება როდი ნიშნავს იმას, რომ შედეგები არადამაკმაყოფილებელი იქნება. პირიქით, ვფიქრობ, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოები მომავალ წელს ბოლომდე იქნება მიყვანილი. მომავალ წელს უკვე იმის საშუალება გვექნება, რომ ამავე მოცულობის დაფინანსების ფარგლებში თავდაცვისუნარიანობა გავზარდოთ,"** - ამბობს ირაკლი სესიაშვილი.

ირაკლი სესიაშვილის ინფორმაციით, კომიტეტის წევრები სამხედრო ნაწილებში მიმდინარე როგორც სარემონტო სამუშაოებს, ასევე ახალ მშენებლობებს უახლოეს დღეებში ადგილზე მოინახულებენ. წლის ბოლოს კი გაწეულ საქმიანობაზე მინისტრის მოხსენების მოსმენა იგეგმება.

ბიუჯეტის პროექტის ზოგადი პრინციპების შესახებ საუბრისას ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი თაბუაშვილმა აღნიშნა, რომ დოკუმენტი, ძირითადად, სამთავრობო პროგრამის - «ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის" შესრულებას ემსახურება, რაც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ეკონომიკის განვითარებას.

თაბუაშვილის თქმით, 2014 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია პრიორიტეტები, რომლებიც სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს - ესენია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, მომავალი წლისთვის ამ სამინისტროების დაფინანსება, სხვა უწყებებთან შედარებით, მნიშვნელოვნად იზრდება.

მომხსენებელმა მაკროეკონომიკურ პარამეტრებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის 5-პროცენტიანი ზრდაა დაგეგმილი.

კომიტეტის წევრებმა ბიუჯეტის დეტალური განხილვა დახურულ ფორმატში გააგრძელეს.

კომიტეტის შემდეგ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ბიუჯეტის პროექტი საპარლამენტო უმცირესობის წინაშე წარადგინა.

უმცირესობის წევრი გიგი წერეთელი დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლის შესახებ პროექტში შეტანილი ჩანაწერით დაინტერესდა. **„ეს მთავრობის სურვილია თუ ხუმრობა?"** - კითხულობს გიგი წერეთელი და განაგრძობს, - **ასეთი ეკონომიკის პირობებში, როცა პრაქტიკულად ნულოვანი ზრდა გვაქვს, სამუშაო ადგილები მცირდება და დეფიციტზეა საუბარი, დაგროვებით პენსიაზე გადასვლა, ნამდვილად მიმაჩნია, რომ შეცდომაა. თუკი ეს სურვილია, ბიუჯეტის პროექტში რატომ წერია, ხოლო თუ შეცდომა არ არის, რაიმე დამატებითი გადასახადი შემოგაქვთ თუ რა მექანიზმებით აპირებთ დაგროვებით პენსიაზე გადასვლას? ეს არც ფინანსურ და არც ეკონომიკურ აზროვნებას არ შეესაბამება."**

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ დაგროვებით პენსიაზე გადასასვლელად რეფორმა იწყება, რომელზეც ეკონომიკის სამინისტრო მსოფლიო ბანკთან ერთად მუშაობს. **„განიხილება კონკრეტული სქემები. თუ არ დავიწყებთ რეფორმას, სისტემაზე ვერასდროს გადავალთ. შეიძლება, ეს შეზღუდული მასშტაბებით დაიწყოს,"** - ამბობს გიორგი თაბუაშვილი.

საკუთარი ინფორმაცია

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა ორგანიზაციის წევრებს საქართველოს მხარდაჭერისკენ მოუწოდებს

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი ერთგულება კიდევ ერთხელ დაადასტურონ და 2014 წლის სამიტზე გაფართოების მიმართულებით შემდგომი ნაბიჯები გადადგან.

2013 წლის 11-14 ოქტომბერს დუბროვნიკში გამართულ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ სესიაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია სახელწოდებით «Furthering stability and the Euro-Atlantic Prospects of the Western Balkans», სადაც, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან ერთად, საქართველოც არის მოხსენებული.

რეზოლუცია ნატო-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს მოუწოდებს, კიდევ ერთხელ დაადასტურონ საქართველოსა და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ევროატლანტიკური მისწრაფებისადმი ერთგულება და განიხილონ 2014 წლის ნატო-ს სამიტზე გაფართოების პროცესში შემდგომი ნაბიჯების გადადგმის საკითხი.

„მოუწოდებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს, დაადასტურონ თავიანთი ერთგულება დასავლეთ ბალკანეთისა და საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივის მიმართ და ნატოს 2014 წლის სამიტზე განიხილონ ნატოს გაფართოების პროცესში შემდგომი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მიერთების პროცესი ორიენტირებულია სტანდარტების შესრულებაზე და არა კალენდარულ თარიღებზე და რომ თითოეული კანდიდატი შეფასდება დამსახურების მიხედვით, ნატოს მიერ დადგენილი კრეტერიუმებისა და პირობების საფუძველზე," - ნათქვამია რეზოლუციაში.

რეზოლუციის თანახმად, ასპირანტი ქვეყნების ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მთლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის იდეის განსახორციელებლად და ხელს შეუწყობს რეგიონში სტაბილურობას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას.

„ბოსნიასა და ჰერცეგოვინას, საქართველოს, მონტენეგროსა და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის ნატოში გაწევრიანება, ისევე როგორც ყველა ასპირანტი ქვეყნის ინტეგრაცია ევროკავშირში, მას შემდეგ, რაც ეს ქვეყნები გაწევრიანების კრიტერიუმებს შეასრულებენ, წარმოადგენს თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის, როგორც მთლიანი ორგანიზმის იდეის რეალიზაციის მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს და საკვანძო ელემენტს რეგიონის სტაბილურობის განმტკიცებისა და მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით," - ნათქვამია ნატო-ს საპარლამენტო რეზოლუციაში.

ამასთანავე, რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საპარლამენტო ასამბლეა ნატო-ს ღია კარის პოლიტიკის ერთგული რჩება და ნატო-ს გაფართოების წინა ტალღების თვალსაჩინო წარმატებით შთაგონებულია.

გორგოძე ფრანგულ გრანდს - „ტულონს„ შეუთანხმდა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ფრანგული მედიის თანახმად, ქართველმა ვარსკვლავმა „ტულონთან“ სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის ამოქმედებამდე კვლავ „მონპელიეში“ იქნება, სადაც 2005 წლიდან თამაშობს და სადაც ამ ხნის განმავლობაში 100 ქულაზე მეტი დააგროვა. აღარაფერს ვამბობთ მის აღიარებებზე - 2010/11 წლების სეზონის ბოლოს „ეკიპმა“ ქართველი მორაგბე საუკეთესო ლეგიონერად დაასახელა.

სხვათა შორის, «გორგოძილას» (როგორც მას სარაგბო თემში უწოდებენ) „ტულონში“ გადასვლაზე ადრეც იყო საუბარი, წინასწარი ხელშეკრულებაც გააფორმა, მაგრამ ბოლოს მაინც „მონპელიეში“ დარჩენა ამჯობინა. მაშინ იმასაც ამბობდნენ, ქართველის „მონპელიეში“ დარჩენით „ტულონის“ პრეზიდენტი მურად ბუჯელელი განაწყენდაო.

როგორც არ უნდა იყოს, ფრანგულმა გრანდმა, რომელიც ქვეყნის სამგზის ჩემპიონია და ერთხელაც პრესტიჟული „ჰაინეკენის თასი“ აქვს მოგებული, საწადელს მიაღწია.

მამუკა გორგოძის „ტულონში“ გადასვლას ეხმაურება სარაგბო ვებგვერდი madeinrugby.com. მისი ინფორმაციით, სხვა გუნდში გადასვლა თავად გორგოძეს უნდოდა, რადგან „მონპელიეს“ მწვრთნელ ფაბიენ გალტიეასთან უთანხმოება აქვს. იგივე წყარო წერს, რომ ხელშეკრულება შეიცავს პუნქტს, რომლის თანახმად, გორგოძესა და „მონპელიეს“ შორის თანამშრომლობა, შესაძლოა, კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდეს.

გარდა ამისა, ირკვევა, რომ გორგოძით დაინტერესებულია „პერპინიანი“ და „კლერმონი“, რომლებსაც „ტულონმა“ დაასწრო.

ცნობისთვის, „ტულონში“ ირიცხებიან ლევან ჩილაჩავა და კოტე მიქაუტაძე. ასე რომ, ქართულ ტრიოს უნდა ველოდოთ.

საქართველო ფიფას რეიტინგში მე-100 ადგილზეა

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მსოფლიოს 2014 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის თითქმის დასრულებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ფიფა/კოკა-კოლას რეიტინგი. საქართველოს ნაკრებმა შესარჩევში 8 მატჩიდან მხოლოდ ერთში - ბელარუსთან გაიმარჯვა, ორი ფრედ დაასრულა, ხუთი წააგო და I ჯგუფში 5 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ნაკრების ყველა მატჩი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში:

I ჯგუფი

ესპანეთი-საქართველო 2:0
საქართველო-ფინეთი 0:1
საქართველო-საფრანგეთი 0:0
საფრანგეთი-საქართველო 3:1
ბელარუსი-საქართველო 2:0
ფინეთი-საქართველო 1:1
საქართველო-ესპანეთი 0:1
საქართველო-ბელარუსი 1:0

ბუნებრივია, ამგვარმა წარუმატებლობამ რეიტინგზეც იქონია გავლენა - საქართველოს ნაკრები სამი საფეხურით ჩამოქვეითდა და 350 ქულით მე-100 ადგილზე აღმოჩნდა. ეს მსოფლიო მასშტაბით, ევროპაში კი საქართველოს ნაკრები 53 ქვეყნის ნაკრებებს შორის 43-ე საფეხურს იკავებს. თუ უფრო დავაკონკრეტებთ, ყოფილი საბჭოთა რესუბლიკებიდან მხოლოდ ლიტვას, ლატვიასა და ყაზახეთს ვუსწრებთ.

ახლა ის არის გასარკვევი, მომავალ შესარჩევში ნაკრებს ისევ ქეცბაია გაუძღვება თუ ვინმე სხვა.

ფაქტია, რომ შედეგი არადამაკმაყოფილებელია. დასახული მიზანი, რომ ჯგუფში მესამე ადგილისთვის გვებრძოლა, მიუღწეველი დარჩა. საგულისხმოა ისიც, რომ ხელშეკრულებით თემურ ქეცბაიას ფეხბურთის ფედერაციასთან კიდევ ორი წელი აკავშირებს. თუ ფეხბურთის მმართველი ორგანო მოისურვებს ნაკრების მთავარ მწვრთნელთან განშორებას, ახლანდელ თავკაცს ორი წლის კომპენსაცია უნდა გადაუხადოს.

ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი.

ამასობაში გაირკვა ის შვიდი ნაკრები, რომლებიც წილისყრისას პირველ კალათაში განითესებიან. შვიდეულს, სავარაუდოდ, შეუერთდება ურუგვაის ნაკრები, რომელსაც, წესით, ფლეი ოფში არ უნდა გაუჭირდეს იორდანიის დამარცხება. წილისყრა 6 დეკემბერს გაიმართება, პირველი კალათა კი ფიფას განახლებული რეიტინგის მიხედვით შედგება.

I კალათა: ბრაზილია, ესპანეთი, გერმანია, არგენტინა, კოლუმბია, ბელგია, შვეიცარია და, სავარაუდოდ, ურუგვაი. თუ ურუგვაი ვერ გავა, პირველ კალათაში ჰოლანდია მოხვდება.

დანარჩენი კალათები არა მხოლოდ რეიტინგის, არამედ კონტინენტური პრინციპით განაწილდება. საბოლოოდ 32-ვე ნაკრების სია 19 ნოემბერს გახდება ცნობილი, როცა ფლეი ოფები დასრულდება.

ფიფა/კოკა-კოლას რეიტინგი:

1 (1). ესპანეთი	- 1513
2 (3). გერმანია	- 1311
3 (2). არგენტინა	- 1266
4 (5). კოლუმბია	- 1178
5 (6). ბელგია	- 1175
6 (7). ურუგვაი	- 1164
7 (14). შვეიცარია	- 1138
8 (9). ჰოლანდია	- 1136
8 (5). იტალია	- 1136
10 (17). ინგლისი	- 1080
11 (8). ბრაზილია	- 1078
12 (16). ჩილე	- 1051
13 (13). აშშ	- 1040
14 (11). პორტუგალია	- 1036
15 (12). საბერძნეთი	- 983
16 (18). ბოსნია	- 925
17 (19). კოტ დ`ივუარი	- 917
18 (10). ხორვატია	- 901
19 (15). რუსეთი	- 874
20 (26). უკრაინა	- 871
100 (97). საქართველო	**- 350**

აკობიას გუნდმა გამარჯვებით დაიწყო

საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი გამარჯვებით დაიწყო. ქართველმა 17-წლამდელებმა სან მარინოელი თანატოლები დაამარცხეს - 3:1. სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. ჯერ მე-8 წუთზე გიორგი ბერიძემ გახსნა ანგარიში, 11 წუთის შემდეგ ვლადიმერ მამუჩაშვილმა ორამდე გაზარდა მასპინძელთა უპირატესობა, ხოლო 33-ე წუთზე ნიკოლოზ ლაშხიას დარტყმული ზუსტი აღმოჩნდა.

სტუმრებმა ერთადერთი რაც შეძლეს პრესტიჟის გოლი იყო, რომელიც 67-ე წუთზე ტამანინმ გაიტანა. მომდევნო შეხვედრას ნოდარ აკობიას გუნდი 19 ოქტომბერს გამართავს. ჩვენი მეტოქე ფარერის კუნძულების გუნდი იქნება, რომელიც ჰოლანდიელებთან ჭიდილში ვერაფერს გახდა - 0:4

საქართველო 3:1 სან მარინო

გოლები: 1:0 გიორგი ბერიძე (8), 2:0 ლადო მამუჩაშვილი (19), 3:0 ნიკა ლაშხია (33), 3:1 ა.ტამანინი (67)

საქართველო: ოთო გოშაძე, ნიკოლოზ კევლიშვილი, ვასილ კაციტაძე, რატი კაკიაშვილი (კაპ), ცოტნე ნადარაია, ირაკლი კომახიძე, ნიკა ქორიძე (გიორგი კიკნაძე 53), ლადო მამუჩაშვილი, გიორგი ბერიძე, გიორგი ჯობავა (საბა ცინცქილაძე 64), ნიკა ლაშხია (შერმადინ ართმელაძე 69)

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

სან მარინო: ს.ბენედეტინი, ნ.დელა ვალე, ა.გრანდონი (კაპ), ნ.ბერტი (უ.ბანასკო 80), ა.ტამანინი, პ.სპრანცი (ფ.კორბელი 41), დ.გასპერონი, ფ.ბერარდი, ა.დ'ადარიო (მ.გიარდი 66), მ.კევოლი, მ.კარლინი

მწვრთნელი: მირკო პაპინი (იტალია)

გაფრთხილება: რატი კაკიაშვილი, შერმადინ ართმელაძე

მსაჯები: იოანის ანასტასიუ (კვიპროსი); ხარლამბოს გეორგიუ (კვიპროსი), სრეტენ უდოვიჩიჩი (ბოსნია-ჰერცეგოვინა)

ჰოლანდია - ფარერები 4:0

ჰოლანდია	1	1	0	0	4:0	3
საქართველო	1	1	0	0	3:1	3
სან მარინო	1	0	0	1	1:3	0
ფარერები	1	0	0	1	0:4	0

სეოკ-ში აღმასკომის სხდომას უმასპინძლეს

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სეოკ-ის აღმასკომის სხდომას უმასპინძლა.

დამსწრეთ სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის ქართველ სპორტსმენთა მზადების შესახებ ინფორმაცია მიანოდეს სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გოგლა ცაგარელმა და საქართველოს ფიგურული ციგურაობის ასოციაციის პრეზიდენტმა მაკა გიორგობიანმა.

ცაგარლის თქმით, გუნდი კარგ ფორმაშია და მოთხილამურეები ოლიმპიური თამაშებისთვის ინტენსიურად ემზადებიან. ამჟამად ისინი ავსტრიაში აგრძელებენ საწვრთნელ შეკრებას. არის შანსი, რომ ლიცენზიანტთა შორის აღმოჩნდეს სნოუბორდისტიც.

მაკა გიორგობიანმა აღნიშნა, რომ გერმანიაში, ობერსდორფის სალიცენზიო ტურნირზე, ელენე გედევანიშვილმა დამაჯერებლად იასპარეზა და ლიცენზიაც დამსახურებულად მოიპოვა. ის ამერიკის შეერთებულ შტატებში ემზადება და შეუძლია სოჭში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს. სამწუხაროდ, არ გაუმართლა ოთარ ჯაფარიძე-ანგელინა ტელეგინას წყვილს - მიზნის მისაღწევად სულ ცოტა დააკლდათ.

საციგაო სპორტში ლიცენზიის მოსაპოვებლად ლევა გურეშიძე იბრძვის. როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა ფელიქს ქუმარიტაშვილმა აღნიშნა, დიდი ალბათობით, გურეშიძე მოახერხებს ოლიპიურ თამაშებზე მიმავალ მატარებელზე შეხტომას. სეოკ-ის დაფინანსებით მან უკვე გაიარა სამი შეკრება სოჭის ოლიმპიურ ტრასებსა და სიგულდაში (ლატვია). 10 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე ჩატარდება მსოფლიო თასის ხუთი ეტაპი, სადაც ქართველი მოციგავე შეეცდება მიზნის მიღწევას.

აღმასკომის სხდომაზე ასევე მიწვეული იყვნენ «თბილისი 2015“-ის პროგრამაში შემავალი 9 სპორტულ ფედერაციის ხელმძღვანელები, რომლებმაც ამ ფორუმისთვის მზადების თაობაზე ისაუბრეს.

აღმასკომის გადაწყვეტილებით, სეოკ-ის ყოველწლიური საანგარიშო სესია 24 დეკემბერს გაიმართება.

სოკ-ის მორიგი წერილი სეოკ-ს
თემა: „აფხაზეთი„ და „სამხრეთ ოსეთი„ - დამატებითი ინფორმაცია ბატონ ლერი ხაბელოვს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო,

წინამდებარე წერილი წარმოადგენს დამატებით განმარტებას ჩვენ მიერ 2013 წლის 28 სექტემბერს გამოგზავნილ კორესპონდენციაზე და გვსურს მოგაწოდოთ უახლესი ინფორმაცია სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხის შესახებ.

გაცნობებთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალურად მიმართა სოჭის ზამთრის ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს იმისთვის, რომ მოესმინა და გაერკვია არსებული ვითარება და მიეღო გარანტია, რომ სოკ-ის პროტოკოლი სრულად იქნება დაცული.

სოკ-ი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მისი პოზიცია და დადგენილი წესები მკაცრად იქნება დაცული ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად და ნებისმიერი პრაქტიკული თუ ოპერაციული საკითხი სათანადოდ მოგვარდება სოჭის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

ჩვენ გავაგრძელებთ თქვენს ინფორმირებას მომავალში განვითარებულ მოვლენებზე და მადლობას მოგახსენებთ გაგებისა და თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

პერე მირო

სოკ-ის ეოკ-ებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი

geonoc.org.ge


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
MAX
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink